# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 564

დამატების № 101

კვირა, 1 მაისი 1916 წ.


ეროვნული ბიბლიოთეკა



თამარ მეფე. ნახატი მოსე თოიძისა.

## თამარ!

**სამაისო ნობათად ქართველ თამარებს.**

თამარ, თამარ, როცა გავცქერ შენი ქვეყნის მინდორ-ველებს,
ჩემს დაღლილ სულს, რაღაც წმინდა, ცეცხლს აძლევს დ ამეტყველებს,—
თვალწინ ზღაპრად, მზისფერ ზღაპრად შენი ხანა იქარგება,
და შიგ ჩემი ბორკილის ხმა, ჩემი აწმყო იკარგება:
მოსჩანს ბორცვის მოქნილ ტანზე, ყვავილების ფარჩეული,
ია, ფირუზ დასადარი, ვარდი ლალში არჩეული,
მოსჩანს მთაცა,—რაინდივით ნისლის ჩაჩქან გადაცმული
და შუბლს უმკობს წუზარადი ვერცხლისაგან ჩამოსხმული,
მუსიკალობს ვრცელი მინდვრის-სილაღანე, სილივლივე,
და, ირღვევა საფლავეთი... და ჩურჩულებს ყოველივე,
და მომესმის:
—„ყრმავ, ცრუ ბედმა სხვაგან კი არ წარგიტანოს,
აქ შობილი აქვე მოკვდი და ეს მიწა გესაბანოს!..“

. . . . . . . . . . . . . .

ეს პალატთა ნანგრევები, ტინისაგან გამოთლილი,
დღეს დაშლილი, დაფუნკული და ლიხნარით შეფოთლილი,
ეს ღვთის სახლი ჭრაქ ჩამქრალი, და შიგ ლოცვა დამწყვდეული,
რწმენის ჯვართა ნამტვრევები, ნაფოტებად განბნეული,
ეს მირონი ამომშრალი და ემბაზი მოპარული,
ეს ლოცვის გზა, ცრემლისაგან დაბზარული, დალარული,
ეს კოშკები, მოქარგული მზით ნახატის ჩუქურთმებით,
ეს სვეტები, ეს ძეგლები, შებინდულნი ხავსის თმებით,—
ცოცხლდებიან ოცნებაში და სდგებიან მკვდრეთით კვალად,
და რუსთველის სიმებივით მეტყველებენ იდუმალად:
„ვაი იმას, ვინც თამარის რწმენის ღმერთი მიატოვოს,
ის სხვამ თვისად არ მიიღოს, მან სამარე ვერსად ჰპოვოს!..“

. . . . . . . . . . . . . .

თამარ!—შენ აქ ზღაპრად მოხველ, ერის სულის ძლიერებად,
რკინა ოქროდ გადაადნე და ნაღველი სიმღერებად!—
მაგრამ, ავ დრომ, შენს ქვეყანას დაუჩრდილა ცეცხლის სული,
და მზიერო, ჩვენში მხოლოდ დარჩი ზღაპრად გადმოსული!—
ზღაპრებით და ოცნებებით, ვათბობთ ჩვენსა ცივ ბორკილებს
ზღაპრები და გვილხენს სულსა და საფლავთან მიგვაცილებს!..

და სხვა დედა, სხვა თამარი, თუ კვლავ ველარ გვეთამაროს,
რად მიგვიღოს შენმა მიწამ?—ულირსთ რაღად გვესამაროს?!..

ს. ფაშალიშვილი.



**თამარ მეფე.** გაგირინის გადმოღებული ბეთა-ნიის ფრესკიდან.



გულზე საკიდი ჯვარი **თამარისა** დაცულია ხობში.



**აჩის ჯვარი** თამარ მეფის დროინდელი.







ნინო, თამარი და ქეთევან, ნახატი ს. მუსაევისა.



# „შეკითხვა და განმარტება“

**არც დრამა და არც კომედია.**

ორ მოქმედებიანი პიესა სეფვეთ-ნეზიჰისა.

**(თარგმანი ოსმალურიდან).**

(შემდეგი*)

**მეორე მოქმედება.**

ფარდა აიხდება და გამოჩნდება საერთო საკულტურო საქმეთა და ხუროთ-მოძღვართა მინისტრი რუქნიდდინ-ბეგის სახლის სადარბაზო განყოფილებაში სამუშაო ოთახი. მარჯვნივ დიდის ხელოვნებით შემკული მშვენიერი საწერი მაგიდაა, მარჯვით და მარცხნით ორი კარი, წიგნების კიდობანი, სავარძლები და სხვა ავეჯეულობა ევროპიულად.

**პირველი გამოსვლა.**

**რუქნიდდინ-ბეგ.** (მარტოდ ზის. იდაყვებს დაყრდომია, თავი ორივე ხელებში ჩაუფლია და ფიქრს მისცემია) როგორ დაბნეული მაქვს გონება! ორ წინადადებას თუ ერთი-მეორეზე გადააბამ, ფაშა შენ ჰეი! ეს რევოლიუცია, ჰეი!.. მთელი ჩვენი მეხსიერება, გონება და მოსაზრება სულერთიანად აგვირია, დაგვიკარგა. ყველაფერი სულ შესცვალა, მაგრამ ჩვენ... დიახ ჩვენა?.. აი სწორედ ესაა ძნელი. (თავის ადგილიდან დაიძრევა და იქით წინა სავარძელზე გადაჯდება) ერთი საათია ვმუშაობ, კმარა. ცოტა დავისვენოთ. საერთო საკულტურო საქმეთა სამინისტრო თუ მივიღე, თავს ხომ ვერ შევალევ! მხოლოდ ოთხი თვე შესრულდა რაც სამინისტროს სათავეში ვარ ჩამდგარი; მე კი ერთი საუკუნის ანგარიშსა მთხოვენ. მერე და რა ნაირ ანგარიშს! ასე მგონია საიქიოს ჩვენებაა... საერთო კულტურული დაწესებულება ზოგი ერთი პირების საწველ-ფურად გარდაქცეულა. ხუროთ-მოძღვრებათა საქმენი დაწეწილაა და გაპარტახება გამოწვეულა. ზედმეტი ხარჯი ყოფილა, მეტიც შეჭმულა! ეს გარემოება სამინისტროს დაარსებიდან ოთხმოცი წელიწადია არსებობს თურმე. ძალიან კარგი! ასობით მინისტრებსა, მილიონობით მოხელეებსა შეუჭამიათ, ჩაუყლაპავთ... მაშინ პირი არავის დაუღია, ანგარიში არ მოუთხოვია... ეხლა საერო კრება გაიხსნა თუ არა „მოდით ანგარიში გავასწოროთ“-ო... რა კარგია? სახელწოდებაც გამოუცვლიათ. ლიტერატურული იყოსო, ამასაც „შეკითხვა“-ს უწოდებენ. პარლამენტის წამოყენებულ იმ კითხვებსა ჩვენც განმარტება უნდა მივცეთ. მაშ, ეგრე? თქვენ რომ გნებავთ განმარტება? ინებეთ ბატონებო, ფუთობით. გუშინ პარლამენტს იმდენი განმარტება მივეცი, რომ „საკმარისია... ამდენი გვეყოფა. თავბრუ დაგვესხა, გული შაგვიწუხდა, მოგვბეზრდაო!“ ყვირილი დაიწყეს. აპა! ჩვენც ასე ვიზამთ, ხოლმე! როგორ?.. „ის რად ასე გაკეთებულა. ეს რად ასე მოგიწყვიათო! საერთო საკულტურო დაწესებულება ზოგიერთების საძოვარი ადგილი ყოფილა... სახელწოდებაც ზედ გამოჭრილია. საერთო ხუროთ-მოძღვრებათა საქმენიც არევ-დარეული ყოფილა. თქმა არ უნდა, არსებით არევ-დარეული თუ არაა საქმე, არ გამოკეთდება. საერო კრებას ისეთი პასუხები მივეცი, რომ... ყველასა თითი პირში დაურჩა. რა ეგონათ! ჩვენ ჩვენი თანამდებობის დროს საძოვარ ადგილებზე პირი დავაღეთ, მაგრამ ბალახი არ გვიჭამია... ჰერიგიდი, ჰეი... (პატარა მოსამსახურე შემოვა).

**მეორე გამოსვლა.**

რუქნიდდინ-ბეგი და მოსამსახურე ბიჭი.

**რუქნიდდინ-ბეგი.** (გაბრაზებული ზე წამოვარდება) რამდენჯერ გაგაფრთხილე. ჩემ დაუძახებლად ნურავინ შემოვა. ეს ჩემი საგანგებო ოთახია, ბიბლიოთეკაა...

**მოსამსახურე.** (გამოურკვეველ მდგომარეობაში) ბატონო, ქალბატონს თქვენი ნახვა მოუსურვებია და...

**რუქნიდდინ-ბეგი.** ჰო. ის, სხვაა. ეგრე სთქვი ხოლმე!

**მოსამსახურე.** ბატონო, სიტყვის თქმა არ დამაცალეთ რომ...

**რუქნიდდინ-ბეგი.** კარგი, აქ მოვიდეს... (ბიჭი გავა).

**მესამე გამოსვლა.**

რუქნიდდინ-ბეგი მარტოდ.

**რუქნიდდინ-ბეგი.** წუხელ გვიან მოვედი. ამ დილასაც ადრე ავდექი. ამ საუბედურო პროექტის დასაწერად... მაგრამ ვერ დავწერე! კაცს თავს შეარჩენენ განა? გუშინდელი ტაშისცემისაგან დღესაც ყურები მიწივის. იმათაც სრულებით მოლაპარაკე, ენა მახვილი კაცი არ უნახავთ, თითქოს. ღმერთო ჩემო! მერე ამ სამართლიანობისა და ღირსება-უფლებათა უზრუნველყოფის მინისტრს რომ კვერები დაუკვრეს... რა სასაცილო იყო ის... (წამოდგება, ვეჰბი-ფაშის კილოს მიბაძავს) „იქიდანაც არის, აქედანაცა; იმისაგანაც არის, ამისაგანაც...“ ტაშ, ტაშ, ტაშ!.. ადამიანს ამდენს ხმაურობასა და შეხლაში ტვინი შერჩება განა?.. (კვლავ ვეჰბი-ფაშის მიბაძვას ცდილობს) „თქვენ რომ გინდათ იმნაირ შემკულს, განწმენდილს, და გაშალაშინებულს თავებს, დიდ უბანში ხარატს ხომ ვერ გაათავთლევინებთ, ბატონო?..“ ტრახ, ტრახ, ტრახ... თავი, ყური, ტვინი... განიავდა. (ამ დროს ქალბატონი ნელ-ნელა კარიდან შიგ შემოვა, გაოცებით ყურს უგდებს) ჩემი ჭკვის ჭირიმე ჩემი რის თქმაც იყო საჭირო, დავწერე და წავიკითხე? კარგი ვქენი ბატონო, რაც უნდა იყოს, გრძელი სიტყვების თქმასა ჩვეული არა ვართ, ენა წაგვისწრობს ხოლმე! ანდაზაა: კაცს რაც ახსოვს ის აგონდება. მაგრამ ქალბატონს რატომ უნებებია ამ დილას ნეტა ჩემი ნახვა? უსათუოდ გუშინდელი ჩემი გამარჯვების მოსალოცავად...

**მეოთხე გამოსვლა.**

ნიგარისთან-ხანუმ და რუქნიდდინ-ბეგი.

**ნიგარისთან-ხანუმ.** (თავის ხმას დაცინვის კილოს მისცემს) დიახ, მოსალოცავად...

**რუქნიდდინ-ბეგ.** უჰ! თქვენა ბრძანდებით?

**ნიგარისთან-ხანუმ.** თქვენს უნარს ვუმზერდი. მართალი უნდა სთქვას კაცმა, მეტად მშვენიერია, დიახ: მოლოცვის ღირსია.

**რუქნიდდინ-ბეგ.** გუშინდელ ჩემს განმარტებაზე ლაპარაკობთ?

**ნიგარისთან-ხანუმ.** დიახ, დღევანდელს თქვენს მდგომარეობაზე და გუშინდელს თქვენს განმარტებაზე; ორივეც ბრწყინვალეა.

**რუქნიდდინ-ბეგ.** (ნიგარისთან-ხანუმისკენ წავა, ხელებზე მოჰკიდებს და მდივანზე მიიყვანს) თქვენი შინაარსიანი სიტყვებიდან ვერა გავიგერა. სერიოზულად ლაპარაკობთ?

**ნიგარისთან-ხანუმ.** მაშ დაგცინით?

**რუქნიდდინ-ბეგ.** არ ვიცი, ცოტა ისე მესმის.

**ნიგარისთან-ხანუმ.** არ სტყუვდებით... თუ ინებებთ ეხლა სერიოზულადაც ვილაპარაკოთ. დილას რომ წამოვდექი, მშვენიერადა ვგრძნობდი თავს. სხეული დამშვიდებული, გული გახსნილი მქონდა. დღეს კარგად გავატარებ მეთქი, მეგონა.

**რუქნიდდინ-ბეგ.** მერე შესაწუხებელი აქ რა არის?.. თუ თქვენ ვინმემ გაწყენიათ?

**ნიგარისთან-ხანუმ.** ნეტა ეწყეინებინათ...

**რუქნიდდინ-ბეგ.** თუ ოთახში რამ დაგიმტვრიეს?

**ნიგარისთან-ხანუმ.** ნეტავი მთელი მოწყობილება ოთახისა დაემტვრიათ, გაენადგურებიათ!..

**რუქნიდდინ-ბეგ.** ნურიდდინმა თუ გული გაგიტეხა?

**ნიგარისთან-ხანუმ.** გული კი არა, ნეტავი თავი ჩემი გაეტეხა!..

**რუქნიდდინ-ბეგ.** მაშ რა მოხდა? ღვთის გულისათვის სთქვი.

**ნიგარისთან-ხანუმ.** რა მოხდაო? თავი მოგვეჭრა.

**რუქნიდდინ-ბეგ.** ვერაფერი გავიგე-რა.

**ნიგარისთან-ხანუმ.** მაშ თუ ეგრეა, ასე პირდაპირ დაჯექი და აგიხსნი. ამ დილას ჩემი ყავის დალევის შემდეგ გაზეთების კითხვა დავიწყე. საერო კრების, პარლამენტის ანგარიში იყო თავში: საერთო საკულტურო საქმეთა და ხუროთ-მოძღვრებათა მინისტრი რუქნიდდინ-ბეგის განმარტება... პირში ქებად არ ჩამომართვა და ჭეშმარიტად კი ბევრი რამ კარგი სიტყვა გითქვამთ...

**რუქნიდდინ-ბეგ.** მე არ მითქვამს, წავიკითხე.

**ნიგარისთან-ხანუმ.** კარგი უნარი გამოგიჩენიათ...

**რუქნიდდინ-ბეგ.** რას ლაპარაკობთ, ჩემო ბატონო!

**ნიგარისთან-ხანუმ.** არა, გევედრებით. დღეს დალაგებით ვილაპარაკოთ. საერო კრებას თქვენი განმარტება საკმაოდ უცვნია, მაგრამ... ჩვენი საკითხის გარკვევისათვის ამდენი არ კმარა. ეხლა ჭეშმარიტი შეკითხვა და განმარტება ჩვენს შორის უნდა მოხდეს. მერე ისე ხუმრობით კი არა, მეტად სერიოზულად. ვითომც სამინისტროს მდივანზე ზიხარ დაკვირვებით და გულისყურით მომისმინე, კონსტიტუციის წესებს თანახმად.

**რუქნიდდინ-ბეგ.** რა გინდათ ღვთის გულისათვის? მე ვერა გამიგია-რა.

**ნიგარისთან-ხანუმ.** ეხლავ გაიგებთ. უპირველეს ყოვლისა პარლამენტის წესიერება სიტყვა-სიტყვით დავიცვათ. წარმოიდგინეთ, რომ მე განმარტების მთხოვნელი დეპუტატი ვარ. აი იქ საწერ მაგიდაზე რომ (მირაბოს) ქანდაკებაა, თავმჯდომარე იყოს. ჩვენგან თვალით უხილავ მრავალ-წამებულთა სულებიც პარლამენტისა წევრები, მაყურებლები. ხვანთქარის ლოჟაშიაც მესამე სელიმის სული მის გარშემო დიდი რეშიდ-ფაშა, სოკულლები, ბარბაროს ხეირიდდინ-ფაშა ესენი სულები არიან... მაგრამ, ფრთხილად... ხედავენ, ისმენენ.

**რუქნიდინ-ბეგ.** ქალბატონო რა დეგემართათ, ღვთის გულისათვის!.. მკვდრებთან, სულებთან ეხლა რა საქმე გვაქვს?

**ნიგარისთან-ხანუმ.** თქვენ გაჩერდით, მოისმინეთ მეთქი, არ გითხარი? პარლამენტალური წესები ესეთია. დღეს ან-ბანიდან დაგაწყობინებთ, გაკვეთილი უნდა მოგცეთ.

**რუქნიდდინ-ბეგ.** მე კითხვა არ მესაჭიროება.

**ნიგარისთან-ხანუმ.** პარლამენტის წესებით, კანონებით, საჭიროა. თქვენ ჯერ ერთი ვითომდა სამინისტრო მდივანზე დასხედით, ვნახოთ.

**რუქნიდდინ-ბეგ.** განა კომედიასა ვთამაშობთ?

**ნიგარისთან-ხანუმ.** არა! კომედიას არა, დრამასა, სახელად მაკბეტს შექსპირის დაწერილს...

**რუქნიდდინ-ბეგ.** ღმერთო ჩემო! გუშინ დეპუტატებთან გვქონდა ბრძოლა, დღესაც წარმოდგენილ აჩრდილებს უნდა ვეომოთ?

(შემდეგი იქნება).

**მემედ აბაშიძე.**

---

*) იხ. სურათებიანი დამატება № 99.